

ახალი თაობა




7 მარტიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად მურმან ლებანიძე

100 ლექსი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



ორშაბათი, 7 მარტი, 2016

№55 (6981)

ფასი: 50 თეთრი

ეკა ბიგაური და ნინო ლომჯარია „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიაში მოხვდებიან?



გვ.3



გიორგი პავუაშვილი: „თქვა ნულუკიანი პირადი მასალების გამოქვეყნებით მაშანტაჟებს“



გვ.5



გიორგი ბარაკიძე: „რესპუბლიკელებს ერთი სული აქვთ, ივანიშვილი მოახრჩონ“

გვ.3

ყაზბეგიდან მოსახლეობის გასახლება იგეგმება

გვ.6

რას აპირებს ხელისუფლება

სანდრო ბრეგვაძე: „რესპუბლიკური პარტია კაბეხს ბენერალმა ინაურმა შექმნა“



გვ.4

„ნაციონალებსა და რესპუბლიკელებს ერთი მამა ჰყავთ, რომელიც ოდესაში ზის“

ნაციონალების აქცია „არა გაზპრომს“ შედეგა?



გვ.2

სუს-ის აღმინისტრაციის უფროსი სართავორისო კონფერენსიაზე „ქალები პოლიციაში“ სიტყვით გამოვიდა



გვ.4





ბოკერია: „ივანიშვილი ზურგსუკან ცდილობდა გაზპრომის შეშოპარებას“

გუშინ, 6 მარტს, ნაციონალურმა მოძრაობამ აქცია „არა გაზპრომს“ გამართა.

კანცელარიიდან რუსეთის საელჩომდე ცოცხალი ჯაჭვი გაკეთდა.

აქციის ორგანიზატორები გაზპრომთან მოლაპარაკებების შეწყვეტასა და ტრანზიტის ძველი პირობებით გაგრძელებას ითხოვდნენ. ცოცხალ ჯაჭვში მონაწილეობდნენ პოლიტიკოსები და საზოგადოების ცნობილი სახეები.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ გიგა ბოკერიას თქმით, ხელისუფლება საზოგადოებას ატყუებდა და ცდილობდა, ზურგსუკან გაზპრომთან მოლაპარაკებები ენარმოებინა.



ბოკერია ამბობს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ივანიშვილის გადაარჩევით ამ საფრთხეებს წერტილს დაუსვამენ.

ჩვენ, მთელი საზოგადოება, ამ შვიდი თვის შემდეგ გადავირჩევთ ივანიშვილის რეჟიმს ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე და ამ საფრთხეებს წერტილს დაუსვამთ, მაგრამ, ამ შვიდ თვეშიც კი, რაც დარჩენილია მის გადარჩევამდე, ჩვენ უნდა ვიყოთ ყურადღებით, – განაცხადა გიგა ბოკერიამ. მან აქციას გამარჯვება უწოდა. – ერთ გამარჯვებას მივალნივით, შევამცირეთ რისკი, რაც თან სდევდა გაზპრომთან ამ მოლაპარაკებებს, როცა ივანიშვილის რეჟიმი ვეატყუებდა, რომ გარდაუვალი იყო ჩვენი ხელახლა



დამოკიდებულება გაზპრომზე, ეს აღარ უნდა მოხდეს, ძალიან კარგია, მაგრამ ეს, რაც მოხდა, ადასტურებს იმას, თუ როგორ ცდილობდნენ ჩვენს ზურგსუკან ამის შემოპარებას, როგორ უნდა გაყინულიყვნენ ჩვენი ბავშვები ზამთარში, რომ ისევ ყოფილიყო მუდმივი წყვეტა და პოლიტიკური შანტაჟი, – განაცხადა ნაციონალურების ლიდერმა.

ბაქრაძე: „არ დავუშვებთ, რომ ქვეყანა რუსულ წყვილადში დაბრუნდეს“



მისი თქმით, აქციის მთავარი გზავნილი ის არის, რომ უნდა იცოდნენ – თუ კიდევ დააპირებენ ამის შემოპარებას, ამას უყურადღებოდ არავინ დატოვებს.

– არ უნდა მოვადუნოთ ყურადღება იმ მთავრობაზე, რომლის პირობებშიც ბავშვის ეზოში მარტო დარჩენის შეიძლება გეშინოდეს. შვიდი თვის თავზე ჩვენ ამ პრობლემას გადავჭრით, – განაცხადა ბოკერიამ.

ნაციონალურების ერთ-ერთი ლიდერი დავით ბაქრაძე დარწმუნებულია, რომ აქციის შემდეგ ხელისუფლება ვეღარ გაბედავს გაზპრომთან დამატებითი და განსხვავებული შეთანხმების გაფორმებას.

მისი თქმით, თვეების განმავლობაში საქართველოს ხელისუფლება ატყუებდა მოსახლეობას, როდესაც იგონებდა სხვადასხვა მიზეზს გაზპრომის საქართველოში შემოსაყვანად.

– ჯერ მოვისმინეთ, რომ აზერბაიჯანს არ შეუძლია დამატებითი გაზის მოცუმა, შემდეგ მოვისმინეთ, რომ ამას გახსადენის სიმძლავრე არ ჰყოფნის, შემდეგ გვითხრეს, რომ თუ ჩვენ გაზპრომს არ შემოვიყვანთ, მაშინ რუ-

სეთი ირანიდან მოამარაგებს სომხეთს და დავილუბებით, შემდეგ გვითხრეს, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წესებით, აუცილებლად მონეტიზაცია უნდა მოხდეს ანუ მთელი ეს 6 თვე ჩვენ გვასმენინებდნენ ტყუილებს და ხელისუფლება ცდილობდა გაზპრომის შემოყვანას, – განაცხადა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, ეს ყველა ტყუილი დადასტურდა 3 დღის წინ, როდესაც სოკართან ხელი მოეწერა დამატებითი მოცულობის გაზის შესახებ შეთანხმებას.

– ეს იყო საზოგადოების პირველი სერიოზული გამარჯვება, მაგრამ ეს გამარჯვება უნდა მივიყვანოთ ბოლომდე. დღევანდელი აქციის გზავნილი იყო ის, რომ ნაციონალური მოძრაობა, ქართველ საზოგადოებასთან ერთად, არ დავუშვებთ, რომ ქვეყანა დაბრუნდეს რუსულ წყვილადში, – განაცხადა ბაქრაძემ.



ნაციონალურების აქცია „არა გაზპრომს“ შედგა?



ნაციონალურების 2 კვირით ადრე დაანონსებული აქცია „არა გაზპრომს“ შედგა? ამ კითხვას ცალსახად პასუხის გაცემა წარმოუდგენელია.

ნაციონალურების ლიდერები დღეში რამდენჯერმე ტელევიზიით მოუწოდებდნენ მხარდამჭერებს, რომ „ისტორიული“ დღე არ გამორჩენოდათ, ყველანი აქციაზე მისულიყვნენ. თვითმხილველების მიერ გადაღებული ფოტოებით თუ ვიდეოებზე, კანცელარიიდან რუსეთის საელჩომდე ცოცხალი ჯაჭვის მსგავს აქციას ვერსად ნახათ. ნაციონალურების მამოძრავებელი მამები ცოლ-შვილთან, მეზობლებთან და ახლობლებთან ერთად კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიაზე იყვნენ თავმოყრილნი.

სამართლიანობა მოითხოვს, აქვე ითქვას, ნაციონალურების ნათესავიც არ ჰყოლიათ ბევრი, რადგან ჯაჭვი საკმაოდ მეჩხერი იყო. ჯაჭვი ზოგან საერთოდ არ იყო, ვაკის პარკის ტერიტორიაზე კი რატომღაც ქვემო ქართლიდან ჩამოსული კანტიკუნტად მდგარი არაქართულენოვანი ნაციონალური ამაგრებდნენ პოსტს.

აქციის დევიზი, ერთი შეხედვით, ურიგო არ არის, მაგრამ ნაციონალურების გათვალა „არა გაზპრომს“ მოსახლეობამ არ აღიქვა, როგორც არა რუსეთს. დასკვნა მარტივია, მოსახლეობა

არ ენდო ნაციონალურ მოძრაობას. 4 მარტს ქართულმა მხარემ სოკართან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის მიხედვითაც, ქართული მხარე ბუნებრივ აირს მხოლოდ აზერბაიჯანიდან შემოიტანს.

ეს გუშინ აქციაზე ნაციონალურების საკუთარ ანგარიშზე მიიწერეს. მთავრობა სხვა პრეტენზიებს უყენებდა ოპოზიციას და აცხადებდა: რუსეთი ულტიმატუმის ენით გველაპარაკებაო. არავის ყურადღება არ მიუქცევია და არ უზრუნია, რომ ქვეყნის ინტერესები დაიცვა და დაიწყო არაჯანსაღი ყიჟინა, როგორ გვიპყრობს გაზპრომი.

ოფიციალური თბილისის განცხადებით, გაზპრომთან მხოლოდ ყოველწლიური ტრანზიტის თემა დარჩა ტექნიკურად მოსაგვარებელი და როცა დამატებითი სათხოვნელი არაფერია, ცხადია, სხვა ტონითა და გამაგრებული ზურგით დაველაპარაკებთ რუსებს.

შედეგად დადგა ის რეალობა, რომ მოგებული და წარმატებული ამ რთულ პროცესში გამოვიდა ქართველი ხალხი.

გუშინ ნაციონალურების ამომრჩევლების გამოფხიზლება დაიწყეს, მაგრამ ადრინა გაზაფხულზე ეს ადვილი არ აღმოჩნდა. ალბათ, სამომავლოდ უფრო კარგად მოეშადებიან ოპოზიციონერები.

ოქტომბრამდე არის დრო.

ირაკლი ალასანია: „ქართული ოცნება“ განიჭრულია მარცხისთვის

– „ქართული ოცნება“ განიჭრულია მარცხისთვის, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა არათუ საზოგადოების ხმა არ ესმით, არამედ ერთმანეთთან არ აქვთ კომუნიკაცია, – განაცხადა „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ იმ ინფორმაციის კომენტარებისას, რომლის თანახმადაც, მინისტრთა კაბინეტს შესაძლოა რესპუბლიკური პარტიის წევრი მინისტრები დაემშვიდობონ.

– ჩვენ არც გვინდა და არც

გვინტერესებს სპეკულაციებზე ვილაპარაკოთ, მაგრამ ცხადია, რომ „ქართული ოცნება“ განიჭრულია მარცხისთვის, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა არათუ საზოგადოების ხმა არ ესმით, არამედ ერთმანეთთან არ აქვთ კომუნიკაცია. ბუნებრივია, მე ის მაღელვებს, რომ ეს ყველაფერი აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე და, თუ ასე გააგრძელებენ, განიჭრული არიან დამარცხებისთვის, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

მედიანიუსი

ანი მიროტაძე: „ქოალიციაში რიგითობა მნიშვნელოვანი არ არის“

ქოალიცია „ქართული ოცნების“ პარტია ეროვნული ფორუმის დეპუტატი ანი მიროტაძე პარტია რესპუბლიკელების ერთ-ერთ ლიდერ დავით ბერძენიშვილის განცხადებას ეხმიანება და აცხადებს, რომ მისთვის რიგითობის საკითხი მნიშვნელოვანი არ არის და ეროვნული ფორუმი პარტიონებს ამ კუთხით არ უყურებს.

როგორც მიროტაძემ უზრუნველყოფა განუცხადა, მნიშვნელობა არ აქვს, რომელი პარტია რა რიგითობით შედის ქოალიციაში, მნიშვნელოვანია ის პასუხისმგებლობა, რომელიც აქვს ადგილური ქოალიციაში შემავალ თითოეულ პარტიას.

ანი მიროტაძე: – მთავარია, ჩვენი ამომრჩევლის წინაშე შევასრულოთ დანაპირები პირნათლად და მივიღოთ დე ვუთხრათ, რომ ეს გამოგვივიდა, ეს არ გამოგვივიდა, ეს არ გამოგვივიდა და რატომ არ გამოგვივიდა, ეს აუხ-



ანი მიროტაძე: „ქოალიციაში რიგითობა მნიშვნელოვანი არ არის“

ნათ და რას ვპირდებით სამომავლოდ. ვინ არის პირველი, თუ აინტერესებს, ეს გაარკვიოს თვითონ. მე ასე არ ვუყურებ ჩემს პარტიონებს. ჩვენი პოლიტიკური დღის წესრიგის თემა ეს არ არის. მე გავიგე, რომ უნდა გაფორმდეს პარტიონობის შესახებ ხელშეკრულება და დაველოდოთ. მე არ ვიცი, ახლა რა შეიძლება ჩაინეროს.

რადგან ეს საკითხი დადასტურდა დღის წესრიგში, ალბათ, ამის აუცილებლობა არსებობდა. ჩვენ, ეროვნულ ფორუმს, ასეთი პარტიონობის შესახებ ხელშეკრულებები არავისთან გავიგოვრებოდა, არც პარტიონორ სუბიექტებთან და არც არავისთან არ ვაპირებთ ინდივიდუალურ რეჟიმში. ჩვენთვის მთავარი დღეს არის ის ყრილობა, რომლისთვისაც ვემზადებით და რომელიც უნდა გაიმართოს თვის ბოლომდე, სადაც უნდა ვისაუბროთ ეროვნული ფორუმის მომავალსა და ზოგადად იმ გამოწ-



ვევებზე, რომლებიც შეიძლება არსებობდეს ქვეყანაში და როგორი უნდა იყოს პარტიის ხედვა, გზა და არჩევანი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში.

ფრაქცია „რესპუბლიკელების“ თავმჯდომარე დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ ქოალიციაში პირველი პარტია „ქართული ოცნებაა“, მეორე კი – „რესპუბლიკური პარტია“.

მედიანიუსი

ახალი თაობა

დამფუძნებლები: ნინო ბაქრაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი
 მთავარი რედაქტორი – სოხო გოგინაშვილი
 რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
 რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგვილი

განთი
 გამოდის
 1993 წლის
 23 ივლისიდან

კონსულტანტები
 ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
 საინჟინერო სამსახური – ჯორა ბალაშაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
 გაფრელების სამსახური – მერაბ ლევინაშვილი
 დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
 ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
 ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
 რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განთავსდება მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიწესტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



ორი წლის ბავშვმა პოლიცია ჩაცმაში დასახმარებლად გამოიძახა




თაღამებზე დასახელბულ მისამართზე მისვლა გადანწყვიტეს, რათა დასახმარებელი ყველაფერი რიგზე იყო.

ამერიკის სამხრეთ კალიფორნიის შტატში ორი წლის გოგონამ პოლიცია მას შემდეგ გამოიძახა, რაც დამოუკიდებლად შარვის ჩაცმა ვერ მოახერხა.

რა ელის თურქეთში მღებარე ქართული ძეგლების ბედი უახლოეს მომავალში

თურქეთში მღებარე ქართული ძეგლების ბედი უახლოეს მომავალში გადანწყვიტება. კულტურის მინისტრი მიხეილ გიორგაძე თურქეთში იმყოფება, სადაც თავის თურქ კოლეგას ხვდება და ამ ორი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს საკითხებს განიხილავს.



ბუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი

უახლოეს მომავალში ამ პროექტს სწორედ რომ ქართველი სპეციალისტების ჩართულობით მომზადებულს სატენდერო განაცხადს თურქეთში გააშუქებენ.

ბუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი - ბენდინერი ვარ, რომ შედგას ასეთი მნიშვნელოვანი შეხვედრა მინისტრთან და მის დელეგაციასთან.

ბრიტანეთში ცხოველების მიერ მიყენებული ზარალი დათვალეს

კონკურსი „დიდი ბრიტანეთის ყველაზე დაუმორჩილებელი შინაური ცხოველის“ ფარგლებში, რომელიც ერთ-ერთმა ადგილობრივმა მაღაზიამ ჩაატარა.



კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფონდმა თავშესაქცევად ჩათვალა ცხოველების იმ პატრონების დაჯილდოება, რომელთა სახლებიც ყველაზე მეტად დაზარადა.

ასევე შევთანხმდით კონკრეტული სამუშაო ჯგუფების შექმნაზე, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე იმუშავებენ.

შხარებმა ორ ქვეყანას შორის კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს და ამ მიმართულებით კონკრეტულ მოკლე და გრძელვადიან სამოქმედო გეგმებზე შეთანხმდნენ.

მიხეილ გიორგაძე, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის მინისტრი

მისი თქმით უახლოეს მომავალში ფართო ხელშეკრულების გაფორმებაზე კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ.

ასევე შევთანხმდით კონკრეტული სამუშაო ჯგუფების შექმნაზე, რომლებიც კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე იმუშავებენ.

ნასტროვინოვი - 7 მარტისათვის

პირი - დღეს გარისკვას ძალზე ცუდი შედეგები მოჰყვება. ვითარება თქვენგან სიმამაცესა და შეუპოვრობას მოითხოვს. ამის მიუხედავად, რეზულტატი არასახარბიელო აღმოჩნდება.

PHILIPS + სარევიანი ბრიმპი 50 ლარი 90-ის ნასვლად. Includes a list of features and a small image of the product.

შეიქმნეთ Mozer-1800 - პროფესიონალი პირანაწილის თხის სარევიანი! 50 ლარად 95 ლარის ნასვლად.

ნინა ნომეხი გამოქვეყნებული ექსპოზიციის პასუხები: კონკრეტული პასუხები კითხვებისათვის.

სჯანვოხი

A large crossword puzzle grid with a 5x5 grid on the left and a 15x15 grid on the right. A portrait of a woman is shown in the top right corner of the puzzle area.

სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნასვლად. Includes a list of benefits and a small image of a hearing aid.

1. ქვეყნის თავისებურება; 2. ... მეორე (საქართველოს მეფე); 3. გომბეში; 4. განსაკუთრებული ნიჭი; 5. ჰერას ქუროში ქალი; 6. უიცილი ... ; 7. ... სტრინი; 8. ცხენის ჯოგი; 9. სახელმწიფო ატრიბუტი; 10. შოტლანდიური ნაგაზი; 11. ორგანული ნაერთი; 12. სრულყოფილება; 13. ქალაქი იაპონიაში; 14. აბატ ფარისა ციხე; 15. აზრი, ჩანაფიქრი; 16. წარჩინების ნიშანი; 17. სასტუმროს მსახური ბიჭი; 18. ელექტრომაგნიტური გამოსხივება; 19. კულდანი ვარსკვლავი; 20. ცეცხლის ღვთაება ინდუიზმში; 21. ჰავის კუნძულებიდან ერთ-ერთი; 22. მსხვილი სეტყვა; 23. იმანუელ...; 24. იოკო ...; 25. ჩასაბერი საკრავი; 26. ქართული გაზეთი; 27. ნორვეგიის პარლამენტის ზედა პალატი; 28. გამოძევადი ფერადი თიხა; 29. მოსველების ტექნიკა; 30. გარეული ღორი.

